



ადმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

### საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 3 მაისი, 2012 წელი

დრო: 15:00 -18.00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2. მანანა ქოჩლაძე - ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
3. ნინო ლომჯარია - პირველი ჯგუფი, თანაკოორდინატორი
4. დავით ნარმანია - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
5. ლია თოდუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
6. თემურ ვეკუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
7. მარინე სოლომონაშვილი - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი

### განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ვიცე-პრემიერთან შეხვედრაზე განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის ჩამოყალიბება;
- ეროვნული პლატფორმის მუშაობის მხარდაჭერის პროექტების მომზადების მდგომარეობის მიმოხილვა;
- კომისარ ფულეს კორესპოდენციზე საპასუხო ქმედებების დაგეგმვა;

- პლატფორმის მედია-სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო ქმედებების დაგეგმვა;
- თსუ-ს ევროპული კვლევების ცენტრის ქმედებების შესაბამისობის განხილვა პლატფორმის ეთიკის კოდექსთან;
- განცხადების განხილვა პლატფორმის წევრობასა და წევრობის სტატუსის შეცვლის თაობაზე

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ და კოორდინატორებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდეგ დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს ევროპის სახლის მიერ მაისში დაგეგმილი "ევროპის დღეების" ფარგლებში პლატფორმის მონაწილეობის შესაძლებლობა. საკოორდინაციო საბჭოს 4 აპრილის შეხვედრის შემდეგ (სადაც გამოითქვა წინადადება "ევროპის დღეებში" მონაწილეობის თაობაზე) საბჭოს თავმჯდომარემ ევროპის სახლის ადმინისტრაციას შესთავაზა აღნიშნულ ღონისძიებაში პლატფორმისათვის პანელის გამოყოფა და ევროინტეგრაციის საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის თემატიკაზე სტუმრების მოწვევა. ამ აქტივობის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს მხარდაჭერით. მაგრამ, ევროპული დღეების ფორმატიდან გამომდინარე (სოციალური ტრანსფორმაციის მიმართულება) ვერ დაკმაყოფილდა პლატფორმის თხოვნა. თუმცა, ღონისძიების ორგანიზატორები დათანხმდნენ თავმჯდომარის მეორე წინადადებას. ეს წინადადება გულისხმობდა პლატფორმისათვის მოწვეული სტუმრების სიის გაგზავნას, რათა დაინტერესების შემთხვევაში, წევრებს ჰქონოდათ საშუალება ბიოლისა და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს მხარდაჭერით ორგანიზებულ სადისკუსიო რაუნდებში მოეწვიათ მათთვის საინტერესო ექსპერტები (მაგ., კულტურის სფეროში). შესაბამისად გადაწყდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე კოორდინატორებს გაუგზავნიდა მის ხელთ არსებული სტუმრების სიას.

ამის შემდეგ წევრებმა განიხილეს ევროპის დღესთან (9 მაისი) დაკავშირებით პლატფორმის სახელით ღონისძიების ორგანიზების საკითხი. დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე, გამოითქვა მოსაზრება, კონტრიბუციის სახით პლატფორმის წევრი ორგანიზაციების რესურსების

გამოყენების შესახებ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შესაბამისი კონცეფციის შემუშავება. ასევე გაიჟღერა წინადადება მრგვალი მაგიდის გამართვის შესახებ.

ამას გარდა, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დამსწრეებს აცნობა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირმა დააფინანსა 15 პროექტი, მათ შორის 12 - საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არ არის ფართოდ გავრცელებული, საინტერესო იქნებოდა პროექტების (მაგ., კულტურის სფეროში) განმახორციელებლების მოწვევა და მათგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება. მსგავსი შეხვედრების (უსასყიდლოდ) გამართვა შესაძლებელია პარლამენტის ბიბლიოთეკაში.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხი ეხებოდა თსუ-ს ევროპული კვლევების ცენტრის ქმედებების შესაბამისობას პლატფორმის ეთიკის კოდექსთან. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორი (ნინო ლაპიაშვილი) არ დაესწრო საბჭოს შეხვედრას და არც წერილობით გამოეხმაურა მისთვის წინასწარ გაგზავნილ მოწვევას, საბჭოს წევრებმა აღნიშნული საკითხი მის გარეშე განიხილეს. ცენტრის ქმედებების ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის 3.2. პუნქტთან შეუთავსებლობიდან გამომდინარე კენჭისყრის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით (საბჭოს წევრებიდან 5-მა ხმა მისცა, 1-მა თავი შეიკავა) მიიღეს გადაწყვეტილება თსუ-ს ევროპული კვლევების ცენტრისთვის დროებით (პლენარულ სხდომამდე) წევრობის, შესაბამისად ხმის უფლების შეჩერების შესახებ.

ამის შემდეგ საბჭოს წევრებმა განიხილეს ეროვნული პლატფორმის მუშაობის მხარდაჭერის პროექტების მომზადების საკითხი. თავმჯდომარემ დამსწრეებს შეახსენა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ორ პროექტზე: 1. სამდივნოს კოალიციური (საკოორდინაციო საბჭოს 9 წევრი ორგანიზაცია) პროექტი, რომელიც ფინანსური მხარდაჭერისთვის უნდა წარედგინოს ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს. 2. ეროვნული პლატფორმის საქმიანობის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ფინანსური მხარდაჭერისთვის უნდა წარედგინოს ევროკავშირს (პროექტის შეტანის ბოლო ვადა - 1 ივნისი, 2012).

პირველი პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა არის 6 თვე. პროექტით განსაზღვრულია სამდივნოს შემდეგი ფუნქციები: შიდა და გარე კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: მაგ., პლატფორმის წევრების შესახებ მონაცემების განახლება, ელექტრონული ჯგუფების შექმნა და ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება, ოქმების მომზადება და გავრცელება, პლატფორმის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება, მთავრობის წარმომადგენლებთან, ევროკომისიასთან,

ევროკავშირის ადგილობრივ დელეგაციასთან შეხვედრების ორგანიზება, საქართველოს ეროვნული პლატფორმის პლენარული სხდომების ორგანიზება, აღმოსავლეთის პარტნიორობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების თავმოყრა, და ა.შ. ჯგუფის შეხვედრებისთვის ფართს უფასოდ უზრუნველყოფს ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო. პროექტის დეტალურად განხილვის შემდეგ, ამ ორ პროექტს შორის წყვეტის თავიდან აცილების მიზნით, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ სამდივნოს პროექტის ხანგრძლივობის 6-დან 8 თვემდე გაზრდაზე.

სამდივნოს პროექტთან შედარებით მეორე პროექტი უფრო მაშტაბურია და მოიცავს შემდეგ სავარაუდო კომპონენტებს: 1. ჩრდილოვანი ანგარიშები, რომლებიც მომზადდება ჯგუფების მიერ; 2. სხვა ქვეყნების ეროვნულ პლატფორმებთან კომუნიკაცია და თბილისში ერთი შეხვედრის ორგანიზება; 3. სამდივნოს საქმიანობის რამდენიმე კომპონენტი; 4. სამუშაო ჯგუფების რეგულარული მუშაობა (შესაძლებელია რეგრანტების სისტემის გამოყენება); 5. 2 ან 3 სამხრეთი შეხვედრის ორგანიზება; 6. ევროპელი ტრენერების მოწვევით პლატფორმის შესაძლებლობების განვითარება - შესაძლო კომპონენტები: კვლევის მეთოდოლოგიები, ევროკავშირთან კომუნიკაცია, პროექტების მენეჯმენტი, რეკომენდაციების მომზადება და ადვოკატირება; 7. PR სტრატეგია.

სავარაუდო კომპონენტების მიმოხილვის შემდეგ, კოორდინატორები შეთანხმდნენ ჯგუფების მიხედვით აქტივობების (11 მაისამდე) დეტალურ გაწერაზე. ამ პროექტის წარდგენა შესაძლებელია 9 წევრისგან შემდგარი კოალიციის სახელით.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ კოორდინატორთან ერთად იმსჯელეს სამოქალაქო ფორუმსა და ეროვნულ პლატფორმას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების საჭიროებაზე. შეთანხმდნენ, რომ პლატფორმის მხრიდან რეკომენდაციების დროულად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია დაგეგმილი შეხვედრების შესახებ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წინასწარ ინფორმირება.

შემდეგ საკითხად საბჭოს წევრებმა განსაზღვრეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან შეხვედრაზე განსახილველი საკითხები და შეადგინეს დღის წესრიგი:

1. საქართველოს ხელისუფლებასა და ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის სტრუქტურირებული და რეგულარული ფორმატის განსაზღვრა;

2. ხელისუფლებისა და პლატფორმას შორის სტრუქტურული დიალოგის ჩამოყალიბება (შეხვედრები 3 თვეში ერთხელ);
3. პროფილურ სამინისტროებში საკონტაქტო პირების იდენტიფიცირება და ავტორიზება ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფებთან რეგულარული და შეუფერხებელი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;
4. საქართველოს ხელისუფლების, ევროკავშირის დელეგაციისა და ეროვნული პლატფორმის ტრიალოგი (ექვს თვეში ერთხელ), საქართველო-ევროკავშირის დღის წესრიგის აქტუალურ საკითხებზე.
5. ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის მიმდინარე დღის წესრიგზე:
  - საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება
  - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები
  - მობილურობა (სავიზო დიალოგის პერსპექტივები)
  - აღმოსავლეთ პატრნიორობის თემატური პრიორიტეტები
6. ეროვნული პლატფორმის წევრებთან სტრუქტურული დიალოგის ფარგლებში პირველი შეხვედრის თარიღისა და დღის წესრიგის განსაზღვრა

საბჭოს სხოდმაზე ბოლო საკითხად განიხილეს პლატფორმის წევრობასა და წევრობის სტატუსის შეცვლის თაობაზე შემოსული განაცხადები. აი-იუ-სი-ენ კავკასიის თანამშრომლობის ცენტრს მათი განცხადების საფუძველზე წევრის სტატუსი შეეცვალათ დამკვირვებლის სტატუსით.

სულ მიღებულ იქნა წევრობის 9 ახალი განაცხადი:

1. დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტი
2. ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
3. ახალგაზრდული ასოციაცია "დრონი"
4. დემოკრატიის ინსტიტუტი
5. ქალთა ფონდი
6. საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
7. სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის
8. ასოციაცია "ათინათი"
9. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ორგანიზაციას სრულყოფილად არ ჰქონდა წარმოდენილი პლატფორმაში გაწევრიანებისთვის საჭირო დოკუმენტები, გადაწყდა

მათი მიღების საკითხის ელექტრონულად განხილვა დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ.

საკოორდინაციო საბჭომ, 14 მაისს ელექტრონული განხილვის შედეგად, წარმოდგენილი 9 ორგანიზაციიდან 8 ერთხმად მიიღო. რაც შეეხება დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტს, მას უარი ეთქვა წევრობაზე, რადგან ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს წევრობისათვის აუცილებელი ორწლიანი გამოცდილების კრიტერიუმს (დაფუძნდა 2011 წელს). მაგრამ წესდების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა მისთვის ასოცირებული წევრობის შეთავაზებაზე.

სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე: ქეთევან ციხელაშვილი

საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო: ეკა მრულიშვილი და სალომე ბულია